№ 26/158

21 აგვისტო 2016

ქ. თბილისის მერიას

სს "საქართველოს ბანკი" გაცნობებთ, რომ 2016 წლის 12 აპრილს ბანკსა და **შპს KMT GROUP** (საიდენთიფიკაციო № 401983136) შორის გაფორმებული იქნა იპოთეკის ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისი, სოფელი დიდი ლილო. აღნიშნული ქონება დატვირთულია **შპს KMT GROUP**-ის სესხის უზრუნველსაყოფად (იპოთეკის ხელშეკრულებები გაფორმებულია 12.04.2016 და 14.04.2016წ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ)

ბანკი თანახმაა იპოთეკით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი № 81.08.16.711) მესაკუთრემ მიიღოს თბილისის მერიიდან მშენებლობის ნებართვა და მოახდინოს ახალი ობიექტის (შენობა-ნაგებობის) მშენებლობა უძრავ ქონებაზე დაფიქსირებული ვალდებულების მოუხსნელად. ამასთან გაცნობებთ, ზემოთ აღნიშნული იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად, იპოთეკა გავრცელდება მიწის ნაკვეთის ყველა არსებით შემადგენელ ნაწილზე, მათ შორის თუ იპოთეკის საგანს დაემატება (მიეშენება, დაეშენება) შენობა (შენობის ნაწილი). აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგანში შემავალ მიწის ნაკვეთზე აღიმართება შენობა-ნაგებობა.

პატივისცემით,

სს "საქართველოს ბანკი"-ს

ბიზნესდაკრედიტების ჯგუფის უფროსი

გიორგი მალაზონია